ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

სალამანკის კონვენციის მიმართვა

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფორმირება

2001 წლის 29-30 მარტს ევროპის 300-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი შეიკრიბა სალამანკაში, რათა მოემზადებინათ თავისი ინიციატივა ბოლონიის პროცესში გაერთიანებულ ქვეყანათა უმაღლესი განათლების მინისტრების პრაღის შეხვედრისათვის. ისინი შეთანხმდნენ შემდეგ მიზნებზე, პრინციპებსა და პრიორიტეტებზე:

სამომავლო გეგმები

ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მხარდაჭერას ბოლონიის დეკლარაციის პრინიპებისადმი და თავიანთ ვალდებულებას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (ათწლეულის ბოლოსათვის) შექმნასთან დაკავშირებით. სალამანკაში ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის შექმნას ისინი მიიჩნევენ, როგორც სიმბოლურსა და პრაქტიკული ღირებულების მქონეს, რათა უფრო ეფექტიანად მიაწვდინონ ხმა მთავრობასა, საზოგადოებას და მათ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ადგილის დამკვიდრებისათვის დაეხმარონ.

1. პრინციპები

ავტონომია ანგარიშვალდებულებით

პროგრესი მოითხოვს, რომ ევროპის უნივერსიტეტები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ იმოქმედონ ანგარიშგებადი ავტონომიის პრინციპით. როგორც ავტონომიური და პასუხისმგებელი იურიდიული პირები, საგანმანათლებლო და სოციალური ერთეულები ისინი ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას 1988 წლის "MAGNA CHARTA UNIVERSITATUM" – უნივერსიტეტების დიდი ქარტიის – პრინციპებისა და განსაკუთრებით აკადემიური თავისუფლებისადმი. ამდენად, უნივერსიტეტებს უნდა შეეძლოთ თავიანთი სტრატეგიის ჩამოყალიბება, სწავლებასა და კვლევებში პრიორიტეტების არჩევა, თავისი რესურსების გადანაწილება, თავისი კურიკულუმის შემუშავება და პროფესორებისა და სტუდენტების მიღების საკუთარი კრიტერიუმების დაწესება. ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თანახმანი არიან იმუშაონ კონკურენციის პირობებში როგორც თავიანთ ქვეყნებში, ასევე ევროპასა და მთელს მსოფლიოში, მაგრამ ამისათვის მათ ესაჭიროებათ მართვის თავისუფლება, ნაკლებად მკაცრი მარეგულირებელი ჩარჩოები და სათანადო დაფინანსება. წინააღდეგ შემთხვევაში, ისინი აღმოჩნდებიან არახელსაყრელ პირობებში თანამშრომლობისა და კონკურენციის გასაწევად. დინამიკა, რომელიც საჭიროა ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად ვერ იქნება მიღწეული ან შედეგად გვექნება არათანაბარი კონკურენცია იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელი ზედმეტად მკაცრი ფინანსური და ადმინისტრაციული კონტროლი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე არ შეიცვლება.

კონკურენცია ემსახურება უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, არ გამორიცხავს თანამშრომლობას და არ შეიძლება იქნეს დაყვანილი კომერციულ ცნებამდე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ უნივერსიტეტებს ჯერ არა აქვთ საშუალება კონკურენცია გაუწიონ სხვა უნივერსიტეტებს თანაბარ დონეზე

და იმყოფებიან ევროპის ფარგლებში "ინტელექტის გადინების" არასასურველი პრობლემის პირისპირ.

განათლება, როგორც საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე უნდა დაეფუძნოს ევროპის ტრადიციებს: განათლებას, როგორც საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას; როგორც დიპლომამდელი, ასევე დიპლომის შემდგომი განათლების მისაწვდომობას; მოქალაქეობასა და მოკლე და გრძელვადიან სოციალურ მნიშვნელობას.

კვლევებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლება

რადგანაც სამეცნიერო კვლევა უმაღლესი განათლების მამოძრავებელი ძალაა, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა აუცილებელია კვლევის ევროპულ სივრცესთან ერთად.

მრავალფეროვნების ორგანიზება

ევროპის უმაღლეს განათლებას ახასიათებს ენების, ეროვნული სისტემების, დაწესებულებათა ტიპებისა და პროფილების, და აგრეთვე, კურიკულუმების ორიენტაციათა მრავალფეროვნება. მისი მომავალი დამოკიდებულია მის შესაძლებლობაზე, მოახერხოს ამ ღირებული მრავალფეროვნების ორგანიზება ეფექტიანად ისე, რომ მივიღოთ დადებითი შედეგი სიძნელეებისა და მოქნილობა გაურკვევლობის ნაცვლად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა სურვილია დაეყრდნონ მსგავსებას, კერძოდ, მოცემულ საკითხზე საზღვრების მიუხედავად არსებულ საერთო მნიშვნელს, განსხვავებანი კი აღიქვან, როგორც ღირებულება და არა როგორც არ აღიარებისა და არ მიღების მიზეზი. უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ერთიანობის მინიმალური დონე, რათა თავიდან აიცილონ იმის საშიშროება, რომ მიღწეული თავსებადობა დაირღვევა კრედიტების, აკადემიური ხარისხების კატეგორიებისა და სწავლების ხარისხის კრიტერიუმების განსაზღვრისა და დანერგვის გადამეტებული ვარიანტულობით.

2. ძირითადი საკითხები

ხარისხი, როგორც მთავარი საფუძველი

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე უნდა შეიქმნას ძირითადი აკადემიური ფასეულობების საფუძველზე, რათა დააკმაყოფილოს ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნები, ე.ი., მიაღწიოს სწავლების მაღალ ხარისხს. რა თქმა უნდა, ხარისხის შეფასებისას უნდა გავთვალისწინებული იყოს დაწესებულებათა მიზნები, მისია და პროგრამები. ის მოითხოვს ბალანსის დაცვას ინოვაციებსა და ტრადიციებს, აკადემიურ დახელოვნებასა და სოციალურ/ეკონომიკური შესაბამისობას, შეთანხმებულ კურიკულუმებსა და სტუდენტთა არჩევანის თავისუფლებას შორის. ის ახორციელებს სწავლებასა და კვლევას, ისევე, როგორც, მართვასა და ადმინისტრირებას, სტუდენტებისადმი ყურადღებიან დამოკიდებულებასა და არასაგანმანათლებლო მომსახურებებით უზრუნველყოფას. კუთვნილი ხარისხი არ არის საკმარისი და იგი საჭიროებს ისეთ გარდაქმნებს, რომელიც დაიმსახურებს ადგილზე, ევროპასა და მსოფლიოში სტუდენტების, პარტნიორებისა და საზოგადოების აღიარებასა და ნდობას.

ხარისხი არის ძირითადი პირობა ნდობის, რელევანტურობის, მობილობის, თავსებადობისა და მიმზიდველობისათვის უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში.

ნდობის მოპოვება

როგორც კვლევის შეფასებას აქვს საერთაშორისო განზომილება, იგივეა საჭირო უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვისაც. ევროპაში ხარისხის უზრუნველყოფა არ უნდა ეფუძნებოდეს ერთ სააგენტოს, რომელიც შემოიღებს საერთო სტანდარტს. სამომავლო გეგმაშია ევროპულ დონეზე მექანიზმების შექმნა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების ურთიერთმიღებისათვის, მათ შორის "აკრედიტაციის", როგორც ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტის. ეს მექანიზმები გაითვალისწინებს ეროვნულ, ენობრივ და დისციპლინურ სხვაობებს და არ გადატვირთავს უნივერსიტეტებს.

შესაბამისობა

ევროპის შრომის ბაზრთან შესაბამისობა სხვადასხვა გზით უნდა აისახოს კურიკულუმებში, იმაზე დაყრდნობით, თუ როდის მიიღწევა დამქირავებლისთვის საჭირო კომპეტენცია – პირველი თუ მეორე აკადემიური ხარისხის შემდეგ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პერსპექტივაში დასაქმება უკეთესად მიიღწევა მხოლოდ იმ ფასეულობათა მეშვეობით, რომელიც ახასიათებს ხარისხიან განათლებას, კურსის პროფილებისა და მიდგომების მრავალფეროვნებით, მოქნილი პროგრამებით, და მრავალმხრივი დაოსტატებისა და კომპეტენციის განვითარებით, ისეთის, როგორიცაა კომუნიკაცია და ენები, ცოდნის მობილიზაციის, პრობლემის გადაწყვეტის, გუნდური მუშაობისა და სოციალური პროცესების შესაძლებლობა.

მობილობა

სტუდენტთა, პერსონალის და კურსდამთავრებულთა თავისუფალი გადაადგილება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი განზომილებაა. ევროპულ უნივერსიტეტებს სურთ ხელი შეუწყონ "ჰორიზონტალური" და "ვერტიკალური" ტიპის მობილობას და არ აღიქვავენ ვირტუალურ მობილობას ფიზიკური მობილობის შემცვლელად. დაწესებულებებს სურვილი აქვთ გამოიყენონ აღიარებისა და მობილობის არსებული ინსტრუმენტები (კრედიტების ტრანსფერისა და აკუმულაციის ევროპის სისტემა - ECTS, ლისაბონის კონვენცია, დიპლომის დანართი, საინფორმაციო ცენტრების ევროპული ქსელი და აკადემიური აღიარების ეროვნული საინფორმაციო ცენტრები - ENIC/NARIC) დადებითად და მოქნილად. საგანმანათლებლო დაწესებულებები ევროპული გამოცდილების მქონე პედაგოგთა პერსონალის მნიშვნელობის გამო აპირებენ გააუქმონ ეროვნული მოთხოვნები და სხვა წინააღმდეგობები და შეფერხებები ევროპაში აკადემიური კარიერისათვის. ცხადია, საჭიროა ერთიანი ევროპული მიდგომა ვირტუალური მობილობისა და ტრანსეროვნული განათლებისადმი.

თავსებადი კვალიფიკაციები დიპლომამდელ და დიპლომის შემდგომ საფეხურებზე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მხარს უჭერენ თავსებადი კვალიფიკაციის ჩარჩოებს, დაფუძნებულს დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სწავლების საფეხურებზე. საყოველთაოდ მიღებულია, რომ პირველი აკადემიური ხარისხისათვის საჭიროა 180-დან 240 (რედიტების ტრანსფერისა და აკუმულაციის ევროპული სისტემის (ECTS) ქულა, მაგრამ საჭიროა იყოს სხვაობა იმის და მიხედვით, თუ რისთვის არის ეს კრედიტები – დასაქმებისა თუ სწავლის გასაგრძელებლად დიპლომის შემდგომ დონეზე. გარკვეულ პირობებში

უნივერსიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს ისეთი ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავება, რომელიც პირდაპირ მაგისტრის ხარისხამდე მიდის. შესაბამისმა საგნობრივმა ქსელებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. უნივერსიტეტები დარწმუნებულნი არიან კრედიტების ტრანსფერისა და აკუმულაციის ევროპული სისტემის უპირატესობაში და ასევე კრედიტების მიღების თავისუფლებაში.

მიმზიდველობა

ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა სურვილია ნიჭიერი ხალხის მოზიდვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამისათვის საჭიროა რიგი ქმედებების განხორციელება დაწესებულების, ეროვნულ და ევროპულ დონეზე. ასეთი ღონისძიებანი მოიცავენ კურიკულუმის ადაპტაციას, ევროპასა და მის გარეთ მისაღებ აკადემიურ ხარისხებს, ხარისხის უზრუნველყოფის საიმედო კრიტერიუმებს, პროგრამებს, რომლებიც ისწავლება მსოფლიოში მიღებულ ძირითად ენებზე, შესაბამის ინფორმაციასა და მარკეტინგს, უცხოელი სტუდენტებისა და მეცნიერების მიღების კარგ მომსახურებას და სტრატეგიული ქსელების შექმნას. წარმატება, ასევე, დამოკიდებულია იმიგრაციისა და შრომის ბაზრის ამკრძალავი რეგულაციების სწრაფ მოხსნაზე.

ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიარებენ, რომ მათ სტუდენტებს ესაჭიროებათ და ითხოვენ ისეთი კვალიფიკაციებს, რომელსაც ისინი ეფექტურად გამოიყენებენ სწავლის შემდგომი გაგრძელებისა და კარიერისათვის ევროპის მთელ ტერიტორიაზე. დაწესებულებები, მათი ქსელები და ორგანიზაციები აღიარებენ თავიანთ როლს და პასუხისმგებლობას ამ მხრივ და ადასტურებენ თავიანთ სურვილს, რომ შესაბამისად მოახდინონ ორგანიზება ავტონომიის პროექტის ფარგლებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოუწოდებენ მთავრობებს ეროვნულ და ევროპულ კონტექსტში დააჩქარონ და ხელი შეუწყონ ცვლილებებს და უზრუნველყონ ჩარჩოები თანამშრომლობისა და დაახლოებისათვის, ასევე ადასტურებენ თავიანთ შესაძლებლობებსა და სურვილს, განახორციელონ პროგრესის განვითარების ინიცირება და მხარდაჭრა ერთობლივი მცდელობებით:

- მთელი ევროპისათვის უმაღლესი განათლებისა და კვლევის ხელახლა განსაზღვრების შემოღება;
- კურიკულუმებისა და მთლიანად უმაღლესი განათლების რეფორმირება და განახლება;
- უმაღლესი განათლების სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნება და გაუმჯობესება;
- ხარისხის შეფასების, უზრუნველყოფისა და სერტიფიცირების ურთიერთმისაღები მექანიზმების შემუშავება;
- ევროპული განზომილების საერთო მნიშვნელის შემუშავება და განსხვავებულ დაწესებულებებს, კურიკულუმებსა და აკადემიურ ხარისხებს შორის თავსებადობის უზრუნველყოფა;
- სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ისევე, როგორც კურსდამთავრებულთა სამუშაოთი უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- იმ ქვეყნებში, სადაც ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისათვის ყველაზე მეტი სირთულეა, უნივერსიტეტების მოდერნიზაციის მხარდაჭერა;
- გახდნენ გასაგები, მიმზიდველი და კონკურენტუნატიანი ქვეყნის შიგნით, ევროპასა და მთელ მსოფლიოში;

- განიხილონ უმაღლესი განათლება უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობად.